პარასკევი, 30 ნოემბ. 1907 წ.

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

# ისარი

წელიწადი პირველი № 264

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ფასდება 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ვასილ აპოლონის ძე, ნინო და მარიამ რაზმაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ კარდაცვალებას პირველების შვილის და მესამის ძმის

აპოლონ ვასილის ძის რაზმაძისას.

დაკრძალვა შაბათს, 1 დეკემბერს ქ. თელავში. (1—460—1)

დილით ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში. დილით

კვირას, 2 დეკემბერს 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

იაფ ფასიანი წარმოდგენა

ნაშუადღევის 12 საათზედ

პირველად ახალი პიესა, რომელმაც დიდი ყურადღება დაიმსახურა სატახტო სცენებზე

მეფე

პიესა 4 მოქმედებად იუშკევიჩისა, თარგ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ელ. ანდრონიკაშვილი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, ბ. ნებიერიძისა, ე. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე

მორიგი წევრი გამგეობისა მ. ყიფიანიძე. რეჟისორი ვ. გუნია.

„ტფილისის სობრანიე“ პარასკევს, 30 ნოემბერს, ბ-ნ წევრთა, კანდიდატთა და მათ ოჯახთათვის შესანიშნავი ვირტუოზი—გარმონის დამკვრელი პეტრე ნევსკი გამართავს

კონცერტს

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება მთელ დღეს „სობრანიეს“ შვეიცართან. (2—453—2)

ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა

პარასკევს, 30 ნოემბერს, ოლ. ბორონატის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

„ფ ა უ ს ტ ი“.

ოპერა 4 მოქმ. 8 სურათად მუსიკა გუნოსი.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი ბორონატი, გორინა, რაპჩინსკაია; ბ-ნნი გავრილოვი, პლატონოვი, სიბირიაკოვი, უხოვი და სხვ.

კაპელმეისტერი: გოლინკინი. დასაწყისი 8 საათზე.

ანონსი: 1 დეკემბერს კოპოლას მონაწილ. „ბალ-მასკარადი“. ახლო მომავალში სიბირიაკოვის ბენეფისი—„დემონი“. მზადდება დასადგმელად «ასე სთქვა მეფემ».

ძმ. ნიკიტინების ცირკი.



30 ნოემბერს, 1907 წელს მეორე დიდებული წარმოდგენა

მონაწილეობას იღებენ პირველ ხარისხოვანი არტისტები, ბერლინის, ლონდონის და პარიზის ცირკებში ცნობილნი. სულ ახალი დასი. დასასრულ დიდი ბალეტი-პანტომიმა საჭიროა ტანისამოსის მკერავი კაცი და ქალი. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. დაწვრილებით პროგამებში. (1—ხალ.—1)

თამბაქოს ქარხანა

საქ. საზ. „მირისა“ ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

არომატ

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ № 349. (40—415—10)

ექიმი
ი. ი. გოკიელი

სპეციალისტი: ვენერიული სიფილისის, კანის და ნერვების სისუსტის ავადმყოფობისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და საღამოს $5^1/_2$—$7^1/_2$ ს. მიხაილოვის ქუჩა. № 113 ვეტცელის სასტუმროს გვერდით. (25—406—18)

ქ. თელავში
ექიმი
ნ. გ. მრევლოვი,

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის, ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—15)

ქ. ქუთაისში
ექიმი ჯაფარიძე

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—6—22)

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას. სპეციალური ექიმი კუჭის და ნაწლევებისა. მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პრო., № 36, სახ. ბავბანიძისა (25—წლ.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს, საღამოთი, —7 საათზე, ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—235)

ექიმი
მ. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქუთაისში
კბილის ექიმი
ს. ი. ერესელიძე

გადავიდა გეგუთის ქუჩ ზე პ რუხაძის სახლში, (15—6—1)

მედიცინის დოქტორი
მ. ი მურადოვი,

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 ს. საღამოთი 5—7 საათზე რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—11)

კბილის ექიმი
ბალარჯაშვილი მათეშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, საღ 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—13)

სოფ. ანაგაში (ყიზიყში)

კვირაში ორჯელ—ხუთშაბათობით და კვირაობით—სიღნაღიდან ივლის ექიმი გ. დ. ცუცქირიძე და მიიღებს ავადმყოფ ბა დილის 9 საათიდან 11 საათამდის მასერაძის აფთიაქში. (5—6.—3)

ქუთაისში
კბილის ექიმი ქალი
ე. დ. ნახარიძე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ქ. ქუთაისში
ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უპეგრაციოდ პროფ. ზეერის მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—თ.—23)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

დაბრუნდა ტფილისში და განაახლა კბილით ავადმყოფებთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს ახალ ბინაზე რაზიეზჟი ქუჩაზე, № 11, სახლი ბაბალოვისა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 9—2 ს. და 4—7 ს. (25—407—18)

ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი
ნ. ა. ატენიანცი

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—29)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
მ. ხ. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—345—22)

ქ. ქუთაისში
ექიმი ბადრიძე

ყვავილის და სხვა გადამდებ სენის აცრა. ავადმყოფებს იღებს დილით 8—12 საათზე და საღამოთი 4—5-ზე. პოლიციის ქ. ციციშვილის სახლი. (25—კვ.—20)

ელექტრონის და რენტგენის
სამკურნალო კაბინეთი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—6.—57)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

რიდელი—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^1/_2$—3 საათ.

იანჩევსკი—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

ერმოლაევი—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

პავლოვსკი—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

ასპიზოვი—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

იოხელსონისა—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარ სკ. კვირა 1—2 ს.

ზილოვსკი—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.

გორდლევიჩი—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

ინაევი—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.

ჩუდნოვსკი—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

ჯნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

გოროხოვცოვისა—მასსაჟი. ყოველ დ. 12—4 ს.

პიკარსკი —
ჩუდნოვსკი — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—65)

წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა

აუწყებს ამით „საზოგადოების“ წევრებს, რომ წესდების მე-11 მუხლის ძალით, ვინც დეკემბრის დამლევამდის არ გადაიხდის

საწევრო გადასახადს,

მომავალ წლიდან ჩამოერთმევა წევრობა.

ქუთაისის რეალურ სასწავლებლის

მთავრობა

სთხოვს ამა სასწავლებლის მოწაფეთა მშობლებსა და მზრუნველთ, რომელნიც ქ. ქუთაისში სცხოვრებენ, მობრძანდნენ კრებაზედ ამა 1907 წლის 9 დეკემბერს, დღის 12 საათზედ დელეგატების ასარჩევად „მშობელთა წრისათვის“.

კრება მოხდება ყოველ კლასში ცალკე; უკეთუ რომელიმე კლასის მოწაფეთა მშობლებისა და მზრუნველების რიცხვი ერთს მესამედზე ნაკლები გამოცხადდა, კრება გადაიდება 16 დეკემბრისთვის; უკეთუ რომელსამე კლასში არც მაშინ გამოცხადდა ერთი მესამედი მაინც, მაშინ იმ კლასში არჩევანი აღარ მოხდება. (3—6.—1)

ქვაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესის

კრებული

აცხადებს რა, რომ კვირას, დეკემბრის ორსა, წირვის შემდეგ, დანიშნულია მნათის (სტაროსტის) არჩევანი, უმორჩილესად სთხოვს ამა ეკლესიის მრევლს მობრძანდეს და მიიღოს მონაწილეობა მნათის არჩევანში. (1—459—1)

ვაჭართა ურთი-ერთ დამხმარებელ

საზოგადოების გამგეობა

წესდების მე-34 §-ის ძალით, იწვევს ბ-ნთ წევრებს საერთო საგანგებო კრებაზედ, რომელიც დანიშნულია 2 დეკემბერს დილის 12 საათისთვის „ტფილისის სობრანიეს“ სადგომში

განსახილველი საგნები:

1. შემოსავლის და გასავლის აღრიცხვა და სარევიზიო კომისიის მოხსენება;

2. კომისიის არჩევა შემოწირულთა შესაგროვებლად;

3. მიმდინარე საქმეები.

შენიშვნა: საერთო კრებაზედ შესასვლელად საზოგადოების წევრებმა უნდა წარადგინონ საწევრო ბილეთები. იმათ, რომელთაც არ ექნებათ ბილეთები—შეუძლიანთ მიიღონ კრებამდე საზოგადოების ხაზინადრის სტ. ხრ. სულხანოვისაგან, ხოლო კრებას დღეს შესასვლელ კარებში. (2—462—1)

ორ დეკემბერს ამა 1907 წ ქ. ტფილისში გამოვა ქართულს ენაზე გიორგი სხირტლაძის რედაქტორობით, ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი სახელდობრ

„ცის ნამი“

გაზეთი ეღირება წლიურად ტფილისში 7 მან., 6 თვით 4 მან., ერთის თვით 75 კაპ., თვითეული ნომერი 5 კაპ.

რედაქცია დროებით მოთავსებულია ნიკოლოზის მოედანზე, ვართანოვის სახლში, № 1, მიიღება ხელის მოწერა და დასაბეჭდი მასალა. (3—3)

18 ნოემბერს ზღვაში მოულოდნელად დაღუპულის კვაჩა ბუკიას შვილები სთხოვენ შავი ზღვის პირად მცხოვრებთ, რომ ვინც იპოვნის იმის გვამს, საჩუქრად მიიღებს 50 მან. ნიშნები: მოხუცი, ჩოხაში გამოწყობილი, დ აგანალის შარვალი, ვერცხლის ქამარი ცხრა ნაჭრით.

ადრესი: ფოთი, ბუკია. (3—6.—3)

## ტფილისი, 30 ნოემბერი.

ჩვენი გაზეთის ოდესსელ კორესპონდენტის სიტყვით, ამ ჟამად ოდესსის უნივერსიტეტში ორასი ქართველი სტუდენტი სწავლობს. რუსეთში სულ ათი უნივერსიტეტია და მრავალი სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი. ქართველი სტუდენტები ყველა ამ უმაღლეს სასწავლებლებში მოიპოვებიან. უკანასკნელ წლებში დიდძალი ქართველი ახალგაზრდობა საზღვარ გარედ მიდის უმაღლეს სწავლის მისაღებად. ყველა ეს გარემოება რომ მივიღოთ მხედველობაში, საერთო რიცხვი ქართველ სტუდენტებისა ორი ათასზე თუ მეტი არა, ნაკლები არ უნდა ვიანგარიშოთ. რადგან ორთაშუა რიცხვით უმაღლეს სწავლას დასამთავრებლად ხუთი წელიწადია საჭირო, ამიტომ უნდა ვიანგარიშოთ, რომ წელიწადში ოთხასამდე უმაღლესის სწავლით შეჭურვილი ყმაწვილი კაცი ემატება ქართველ ერს. ოთხასი კი არა, ამისი ნახევარიც ისეთი თვალსაჩინო რიცხვია ჩვენისთანა მცირერიცხოვან და ღარიბ ერისთვის, რომ ამ ფაქტს არ შეიძლება ჯეროვანი ყურადღება არ მიექცეს.

ყოვლის უწინარეს აღსანიშნავია, რომ ქართველი მშობლები მიუხედავად თავის ხელმოკლეობისა ორი ათასამდე მოზარდს ინახავენ უცხო და შორეულ ქვეყნებში, სადაც თითო სულის შენახვა წელიწადში ხუთას მანათამდე ჯდება. მაშასადამე ქართველი მშობლები და ქველმოქმედნი (სტიპენდიების პატრონები) წელიწადში დაახლოვებით ერთ მილიონ მანათს ჰხარჯავენ უმაღლეს სასწავლებლებში მოზარდ თაობის ასაზრდელად. ყველა დაეთანხმება, რომ ეს თვალსაჩინო გულუხვობაა. ყველაფერში გულცივი, თითქმის ყოველ საზოგადო საქმისთვის გულ დახურული „ქართველი საზოგადოება“ არაფერს არ ჰზოგავს, წლებზე ფეხს იდგამს და წელიწადში ერთ მილიონ მანეთს იხდის ახალი თაობის უმაღლეს სასწავლებელში ასაზრდელად. საარაკო ამბავია, ამოცანას ჰგავს. როგორ უნდა აიხსნას ეს ამოცანა?

ჩვენის ფიქრით, ეს ისეთივე უცნაური ამბავია, როგორც ის, რომ მესამოცე წლებში საქართველოში მრავალი გენერალი მოიპოვებოდა. საიდან გაჩნდნენ მაშინ ეს გენერლები? ჩვენი ქვეყნის მეცხრამეტე საუკუნის ისტორია უხვად ჰფენს ნათელს ამ ფაქტს. ქართველი თავად-აზნაურობა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ უსაგნო და უშინაარსო წოდებად გადაიქცა, წინანდელი სიმდიდრე მარდად ეკარგებოდა, წინანდელი პატივი და დიდება ხელიდან მისდიოდა, ერთად ერთი საშუალება რაოდენამდე მაინც ძველი პრესტიჟის შესარჩენად რუსის ჯარში სამსახური იყო. რუსეთის მთავრობა ახლად შეძენილ ქვეყანაში თავის ბრძანებლობის გასამტკიცებლად ფართოდ უხსნიდა სამხედრო სამსახურის კარებს საქართველოს ბრწყინვალე წოდებას. აი აქედან წარმოსდგა გენერლების სიმრავლე საქართველოში. ახალგაზრდა თავად-აზნაურობა სქლად აწყდებოდა მაშინ სამხედრო სამსახურს, მხოლოდ იმიტომ რომ ეს ყველაზე უფრო ადვილი და მარტივი საშუალება იყო პატივს მოსახვეჭად, ცხოვრების უზრუნველ საყოფელად და დაკარგულ ბატონობის უფლებათა ილიუზიის შესარჩენად. ჩვენ ვიცით, რომ მაშინდელ საქართველოს მოწინავე ელემენტების გულში მხოლოდ ეს იდეალი ბუდობდა: ეპოლეტები და ორდენები, ორდენები და ეპოლეტები. ამაზე შორს მხოლოდ იშვიათი, ძლიერი სულის პატრონნი მიდიოდნენ. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ამ იდეალს არაფერი საერთო არა ჰქონია თვით ქართველ ხალხის ცხოვრებასთან, ვიცით ისიც,

რომ ორდენებით და ეპოლეტებით მოკაზმულმა დიდებულმა გვამებმა ისე გაიარეს თავის ცხოვრების გზა, რომ ქართველ ხალხს მათგან არაფერი არ შეჰმატებია.

ამ გვარივე ხასიათის მოვლენაა, ჩვენის ფიქრით, ჩვენი დროის გატაცება უმაღლესის სწავლით. დიდი უმრავლესობა ეხლანდელ ქართველ სტუდენტების მშობლებისა ქართველი თავად-აზნაურები, მღვდლები და სხვა წვრილი მოხელეები არიან. მსხვილმა თავადაზნაურობამ თავისი თავი მეცხრამეტე საუკუნეში ამოიჭამა, იმისი ერთი ნაწილი ფიზიკურად ამოვარდა, მეორე საბოლოოდ სამხედრო უწყების ბრჭყალებში დარჩა და ეროვნულად გადაგვარდა, მესამე ნაწილი დაწვრილმანდა და ეხლა ეს უკანასკნელი ჰქმნის ახალ თაობის აღზრდის ისეთ იდეალს, რომელმაც პირადად და ინდივიდუალურად უნდა გაუადვილოს ცხოვრების გზა მათს მემკვიდრეებს. ეს იდეალია მოხელეების, ინჟინრების, ვექილების, ექიმების და სხვა სპეციალისტების აღზრდა. ყველა ამისათვის უმაღლეს სწავლის დიპლომია საჭირო და აი იქმნის ხელმოკლე თავად-აზნაურობის გულში ახალი პსიხოლოგია: ყოვლის უწინარესს შვილების აღზრდა უმაღლესს სასწავლებელში. ეს გადაწყვეტილება, როგორც გადამდები რამ სენი, იპყრობს თავად-აზნაურობასთან ერთად საერთოდ ყოველ ქართველს, რომელსაც კი არა ჰსურს სოციალურად პრივილეგიური მდგომარეობა დაჰკარგოს. ესაა მიზეზი, რომ საზოგადოებრივ ელემენტების საკუთარის ინიციატივით ყოვლის უწინარეს კლასსიკური სათავად-აზნაურო გიმნაზიები იხსნება საქართველოში, ესაა მიზეზი, რომ უმაღლესს განათლებაზე ერთ მილიონამდე ფულს ჰხარჯავს წლიურად ქართველი ხალხი, ხოლო პირველ დაწყებითს სწავლაზე კი არა უმეტეს რამდენიმე ათასი მანეთისა. ესაა მიზეზი, რომ გიმნაზიებს ხარბად აწყდებიან მშობლები, ხოლო დასრულებული საშუალო განათლება კი თავის-თავად არავის არ აინტერესებს. ესაა მიზეზი, რომ უმაღლეს სწავლის მაძიებელთა მეთაური ჩვენს ქვეყანაში თავად-აზნაურობაა, რომელიც არაფერს არა ჰზოგავს არც გიმნაზიების შესანახად, არც სტუდენტებისათვის სტიპენდიების გასაცემად, მაგრამ პირველ დაწყებით ან დასრულებულ საშუალო განათლებისთვის კი ორიოდე გროშის გაღებაც კი ეზარება. ესაა მიზეზი, რომ უკანასკნელად თავად-აზნაურობის დეპუტატებმა ეგრედ წოდებულ სპეციალისტ-სტუდენტებს მისცეს უპირატესობა უნივერსტანტების წინაშე. ერთად-ერთი აზრი, რომელიც ამოდენა ფულს ახარჯვინებს ქართველ ხალხს უმაღლეს განათლებაზე, არის აღზრდა კაი ჯამაგირიან სახელმწიფო მოხელის (ჩინოვნიკის) ან კაი შემოსავლიან თავისუფალ პროფესიის ადამიანისა. ეს წმინდა ეგოისტური სურვილია ყოველის მშობელისა და ეს ვიწრო ეგოიზმი ახასიათებს ეხლანდელ საქართველოს მოწინავე ელემენტებს. არ არსებობს არც ცოდნის კულტი თავის თავად, არც საზოგადოებრივი დაფასება უმაღლესის სწავლისა, არც ისტორიული კავშირი აღზრდის ეხლანდელ ქართულ იდეალისა თვით ქართველი ხალხის ცხოვრების წარსულთან და მის თანამედროვე მდგომარეობასთან. როგორც გენერლების სიმრავლე მეცხრამეტე საუკუნეში, ისე ჩვენს დროში უმაღლეს განათლებით აღჭურვილ ახალგაზდობის სიუხვეა გამოწვეული არა საზოგადოებრივ შინაარსის იდეალებით, არამედ ვიწრო ეგოისტურ მისწაფებებით და როგორც „გენერლებმა“ ჩაიარეს თავის ცხოვრების გზა ისე, რომ ქართველ ერის ცხოვრებაში მათ არაფერი ნათელი არ შეუტანიათ, ისე უმნიშვნელოდ და უაზროდ ჰლევენ თავის არსებობას ეხლანდელი „დიპლომიანები“.

ვისაც ჩვენი შეხედულება გულში ჰკბენს, იმას ვთხოვთ თავის გარეშემო მიმოიხედოს და ჩამოითვალოს თითებზე, რამდენი სასარგებლო მოღვაწე უბრუნდება ქართველ ერს უმაღლეს სასწავლებლებიდან წლიურად უკანასკნელ ხუთის ან ათის წლის განმავლობაში. უმაღლეს განათლების დიპლომს კი წელიწადში ორასამდე ქართველი ახალგაზრდა იძენს. სად არიან ეს უმაღლესად განათლებულნი? იქ, სადაც უნდა იყვნენ თანახმად იმ შეხედულებისა, რითაც ხელმძღვანელობდნენ მათი მშობლები და სხვა გულშემატკივარნი, როცა წელზე ფეხს იდგამდნენ და მათ კი გზას უკაფავდნენ დიპლომებისკენ. რუსეთის კანცელარიებში, რუსეთის დიდს ქალაქებში, რუსეთის შორეულ ადგილებში, სადაც ორკეც ჯამაგირს აძლევენ მოხელეებს.

უკანასკნელ წელიწადს რუსეთის საზოგადო მოღვაწეები და პროფესორები გულაჟუჩებულის სიამით აღნიშნავენ, ეხლა რუსის სტუდენტობა ისე ბეჯითად დაეწაფა მეცნიერებას, როგორც არასოდეს აქამომდეო. გსმენიათ ვისგანმე ამგვარივე დახასიათება ქართველი სტუდენტებისა? უეჭველია, არა და ვერც მოვისმენთ იმ დრომდე, ვიდრე თვით ქართველი საზოგადოება არ განთავისუფლდება იმ ანგაარებისაგან, რაიცა აიძულებს მას დააწაფოს ახალი თაობა უმაღლესს სწავლას, როგორც სიმდიდრის და პრივილეგიურ მდგომარეობის წყაროს.

# ახალი ამბავი

**დაპატიმრება**. როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, 28 ნოემბერს ღამე ოზურგეთში დაუპატიმრებიათ ვიღაც დოლიძე, რომელსაც აბრალებენ თურმე ილიი ჭავჭავაძის მოკვლას.

**რედაქციებისა და სტამბების ჩხრეკა**. გუშინ, 29 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, პოლიციამ და პლასტუნებმა ალყა შემოარტყეს სემინოვის ქუჩაზე კ. თავართქილაძის სტამბა „ნადეჟდას“ და ქართულ გაზეთ „წყაროს“ რედაქციას და შეუდგნენ ჩხრეკას. ჩხრეკამ საღამომდე გასტანა. ამავე დღეს, ალყა შემოარტყეს მადათოვის კუნძულს და შეუდგნენ ჩხრეკას, სხვათა შორის, გაჩეჩილაძის სტამბისასა, სადაც „ნიშადური“ იბეჭდება.

**ილია ჭავჭავაძის ფონდი**: ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის ცნობებით, ორი თვის განმავლობაში ილია ჭავჭავაძის ფონდისსა სარგებლოდშეკრება სხვა და სხვა დაწესებულებათადა კერძო პირთაგან 2636 მან. გამგეობას ჯერ არ მიუღია რამდენისამე საღამოს შემოსავალი. საერთო ჯამი 3009 მან. იქნება.

**დეპუტატად ნამყოფის ცოლის შეპყრობა**. 28 ნოემბერს, შუადღისას, დეპუტატად ნამყოფს სევ. ჯუღელის ბინაზე მივიდა უბნის ზედამხედველი და გაჩხრიკა ჯუღელის ძმის—გიორგის ოთახი. შემდეგ გაჩხრიკა ყველა ოთახში. ამ დროს ს. ჯუღელის ცოლი ალექსანდრა ლოგინში იწვა ავადმყოფი, ზედამხედველმა წინადადება მისცა ამდგარიყო და პოლიციაში გაჰყოლოდა—უნდა დაგაპატიმროთო. ავადმყოფმა უპასუხა, ექიმისაგან აკრძალული მაქვს ადგომა და მით უმეტეს, სიარულიო. მაგრამ, ბოლოს, ქალი იძულებული გახადეს ამდგარიყო და გაჰყოლოდა პოლიციას. მასთან ერთად დაპატიმრებულ იქმნა გიორგი ჯუღელიცა. წაიღეს რამდენიმე წიგნი, რომელიც ეკუთვნის ყოფილ დეპუტატს.

**სალიტერატურო საღამო**. განზრახულია ამ მოკლე ხანში ტფილისში გამართონ საქველ-მოქმედო აზრით სალიტერატურო სამუსიკო. საღამო, სადაც ბ ნი გ. რობაქიძე წაიკითხავს თავის ლექციას წმინდა ხელოვნებაზედ: სათაურით „მშვენების ფილოსოფია“. ამ საღამოსთვის მიწვეულნი იქმნებიან საუკეთესო მომღერალნი, დამკვრელნი და წამკითხველნი.

**ყელ-გამოჭრილი ქალი**. საბურთალოსთან სამხედრო გზაზე 28 ნოემბერს ნახეს ყელ-გამოჭრილი 18—19 წლის ქალი. როგორც ეტყობა, ბოროტ განმზრახველებს ქალი გაუყვანიათ ქალაქს გარედ და მერე მოუკლავთ. ვინაობა ქალისა ან მკვლელებისა პოლიციას ჯერ არ გამოურკვევია.

**მონასტერზე თავდასხმა**. როგორც კოჯორიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დასცემია კობის მონასტერს, დაუჭრიათ ორი ბერი, გაუტანიათ ფული, საეკლესიო ნივთები და ოთხი ბერდანის თოფი. ჯერ არ არის გამორკვეული, ფული რამდენია გატაცებული. სამაზრო ადმინისტრაციის განკარგულებით, გაიგზავნა ყაზახთა რაზმი.

**დაპატიმრება**. 25 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის სახსოვრად გამართულ საღამოს ს. ალში დაატუსაღეს გიორგი მაჭარაშვილი და ზაქარია ნებიერიძე.

**აფეთქება**. 28 ნოემბერს სამხედრო საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ლეონტი კვანტალიანისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ტერ-გრიგორიანცის მოკვლა. ოლქის სასამართლომ კვანტალიანი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა 4 წლით. საღამოთი ასე ექვსი საათი იქნებოდა ლეონტი კვანტალიანი 9 პატიმართან ერთად ჯარის კაცებს მეტეხის ციხეში მიჰყავდათ. როცა სირაჩხანის აღმართ მიუახლოვდნენ, ქარვასლის მეორე სართულიდან ვიღამაც გადმოაგდო ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელმაც საშინელის ხმით იფეთქა და ჯარის კაცები კვამლში გაახვია. არავინ დაშავებულა, არც გაქცეულა ვინმე. ხმაურობაზე გაჩნდნენ პოლიციელები. ეჭვით დააპატიმრეს ყმაწვილი კაცი, სპარსეთის ქვეშევრდომი ავეტიკ მნაცაკანიანცი. პოლიციამ დაბეჭდა ქარვასლა.

**წ. კ. საზოგადოების წევრნი**. წ. კ. საზოგადოების გამგეობა მოაგონებს წევრებს, რომ წესდების ძალით ვინც დეკემბრის დამლევამდის არ გადაიხდის საწევრო ფულს, ის მომავალ წლიდან აღარ ჩაითვლება „საზოგადოების“ წევრად.

**მოკლულ კაცის გვამი**. 28 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, ნაძალადევში ცეცხოვის ქუჩაზე ნახეს გვამი რევოლვერით მოკლულ კაცისა. მოკლულის ვინაობა არ არის ჯერ გამორკვეული.

**ლექციები**. უმაღლეს კურსებზე, მეორე გიმნაზიასთან დღეს ლექციებს წაიკითხავენ დ. მუჩკანსკი—შექსპირის დრამა „მაკბეტი“; ჩებოტაროვი—ასტრონომიაზე და შტრეიხერი—ფიზიოლოგიაზე პირველი ლექცია 6 საათზე დაიწყება.

28 ნოემბერს, ნაშუადღევს 5 საათზე, გახუთის ქუჩაზე ნავთლუღისაკენ მიექანებოდა ელექტრონის ტრამვაის ვაგონი (№ 44). ტფ. პოლკის მაზარმის პირდაპირ ვაგონი დაეტაკა მისვე ელექტრონის ბოძს. კონდუქტორი გადმოვარდა მეტლე და მარცხენა ფეხი მოიტეხა. ვაგონის კონდუქტორი ვლადიმერ მაჭავარიანი ვაგონის საფეხურზე იდგა, მოუცდა ფეხი, გადმოვარდა და მარცხენა ფეხი მოიტეხა. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

ამას წინად ტფ. რკინის გზის სადგურის მახლობლად ვიღაცეებმა გაძარცვეს რკინის გზის ეკკლესია. წაიღეს სხვა და სხვა ნივთები. ამ გაცარცვაში ეჭვი მიიტანეს ბორჩალოს მცხოვრებ ისაია ტერ ვართანოვზე, რომელიც დააპატიმრეს 28 ნოემბერს.

28 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, დვორიანსკის ქუჩაზე, ნორაშენის ეკკლესიის პირდაპირ, ვიღაც კაცმა რევოლვერი დაახალა კალატოზოვის სახლის მეეზოვეს სტეფანე ტავრიილოვს და ზურგში დასჭრა. უცნობი მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

28 ნოემბერს საღამოთი დუშეთის ქუჩაზე პოლიციამ გაჩხრიკა ადნიაშვილის სახლი. ნახეს რევოლვერი. დააპატიმრეს ორი კაცი.

16 ნოემბერს ვიღაცეებს მოუკლავთ ს. დარევის მცხოვრები ილიკო გაბაიძე, რომელიც ბორჯომიდან სახლში მიდიოდა თურმე.

28 ნოემბერს ღამე სეიდაბათის ქუჩაზე ალექსანდრე ჯუქიაშვილის საწვრილმანო დუქანში შებარულან ქურდები და წაუღიათ 50 მან. ნივთები. ეჭვი მიიტანეს სარქის მარტიროსოვსა, კონსტანტინე ეფრემოვსა და სარქის მალინოვზე, რომელნიც დააპატიმრეს.

26 ნოემბერს მეორე გილდის ვაჭარი ზელმან ბევზერი ნაშუადღევის 2 საათზედ შესულა ოქრომჭედელთან სიონის ქუჩაზე. ამ დროს მას შევარდნია სახელოსნოში სამი შეიარაღებული კაცი და მუქარით წაურთმევია 200 მან. და სხვა ნივთები.

გუშინ შეცდომით გვქონდა აღნიშნული მარინეს ეკლესიის გაცარცვის ამბავი. საქმე ასე მომხდარა: 27 ნოემბერს, საღამოს ოთხს საათზედ, როდესაც დარაჯი ზარსა რეკავდა, ვიღაც 17—18 წლის ბიჭი ფართუკით შევარდნილა ეკკლესიაში, სადაც არავინ არა ყოფილა და გაუტანია ჯვრები. დარაჯს სამრეკლოდან შეუმცნევია, რაღაცას მიარბენინებდა, დაუყვირნია კიდეც, მაგრამ დაჭერა ვერ მოუსწრია, რადგან უცნობი მიმალულა. დაიკარგა სამი ვერცხლის ჯვარი, ერთი ზედ წარწერით რუსულად რომ შეწირულია მირქმის ეკკლესიისთვის, რადგან უწინ მარინეს ეკკლესია მირქმის სახელობაზედ იყო ნაკურთხი.

# ფელეტონი

## ცხოვრება და ხელოვნება

ლეონიდ ანდრეევი

(ლ. ანდრეევის „ცხოვრება ადამიანისა“, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა).

(შემდეგი *)

ზემოდ ჩვენ დავინახეთ, რომ ანდრეევმა „ხორცის სამეუფოს“ პირველი ადგილი დაუთმო, „ხორცის სამეუფოს განთავისუფლების“ აზრის მოქადაგედ პირველად იგი გამოვიდა რუსულს ლიტერატურაში... მაგრამ უეცრად, თითქო „მწიგნობართა და ფარისეველთა“ ყაყანმა შეაშინა ან შეაფიქრაო, ანდრეევმა ამ საკითხებს გვერდი აუხვია ისევე „სლავიანთა სულის“ ნავთ სადგურს მიმართა, რომლის საუკეთესო და უცნაური ნიმუში „ბასილ თებაელის ცხოვრებაა“, ამბავი ბედისაგან შერისხულ მღვდელისა, რომლის ცხოვრება თითქოს მისთვის არის დატანჯული და დასჯილი, რომ „მისი ცოლი მოცული იყო დედობრივობის გააფთრებულის წყურვილით და ამგვარ ექსტაზში იგლეჯდა ტანისამოსს და უსირცხვილოდ შიშვლდებოდა მთლად დამწველი და საშინელი, ვითა ბახუსის ვესტალკა, საცოდავი და შესაბრალისი, ვითა დედა, შვილის სევდით შეპყრობილი... მისი ვნებათა ღელვა იმორჩილებდა უბიწო მღვდელს და გიჟურ ვნებას თავის ცოლისას იგი მორცხვი და უბიწო აძლევდა პასუხს ამგვარისავე გიჟურის ვნებათ, რომელშიც გამოსჭვივოდა ნათელი იმედი და ლოცვა, და უსაზღვრო სასოწარკვეთილება დიდის დამნაშავისა“. ამ დანაშაულობის წილ მათ იდიოტი დაებადათ და მთელი მათი სიცოცხლე ამით იქმნა დაღუპული და მოსპობილი. მთელი ეს მოთხრობა დოსტოევსკისებურ დამტანჯველის კილოთია მოთხრობილი.

გადის დრო და ანდრეევი თეატრს მიჰყოფს ხელს. ეს რევოლიუციის სუსხის დროს იყო, მისი „ვარსკვლავებთან“, „საბბა“ დრამატიულის მხრით თუმცა სუსტნი არიან, მაგრამ ბეჭედი დიადის მომენტისა მაინც ასვია. „ვარსკვლავებთან“ გვიხატავს ბრძოლას შრომისა და კაპიტალის შორის და თავგანწირულ მებრძოლთ პირველის მოსარჩლეს; „საბბა“ გვაჩვენებს ცრუმორწმუნოებისა და მეცნიერების ბრძოლას, ბრძოლას აწ არსებულის წესწყობილებისა უგნურებისა და სიყალბეზედ აღგებულისას და ამ წესწყობილების უკიდურეს უარმყოფელის შორის გამარჯვებული უმეცრება რჩება, უმეცრება და სიყალბე ხიბლავს ბრბოს და სასტიკად ასამართლებს სინათლისა და სიმართლის მოციქულს; სხვა მხრივაც არის ჩვენთვის ეს ორი დრამა საინტერესო. აქაც ანდრეევი ახალი გზის გამკვლევია. „ვარსკვლავებთან“ ცის მოტრფიალე და დედა-მიწის შვილნი კი არ იბრძვიან, ერთმანეთს თითქო კიდევაც შველიან. პროფესორი ასტრონომი ვარსკვლავებისაკენ, ცისაკენ იწევს, მისი შვილები დედა-მიწისაკენ მიილტვიან, მის ტანჯვასა და ვაებას, მის კვნესასა და გოდებას ესარჩლებიან, მაგრამ მეცნიერი ცასა და დედამიწას ერთად აერთებს, მსოფლიოს სახელით ათავსებს ერთმანეთთან და ორივე, როგორც ვარსკვლავები, ისე მიწა მიაჩნია ერთის დიდის ერთეულის ნაწილად. ბრძოლაში დაღუპულ შვილის საყვარელ ქალს, რომელიც კოსმიურ ფილოსოფიას პასუხად უგებს: მე წავალ, ცხოვრებას დავუბრუნდებიო, იგი სიყვარულითა და ნუგეშინის ცემით ეუბნება: „წადი! წადი და დაუბრუნე მას (ცხოვრებას), რაც მიიღე მისგან. დაუბრუნო მზეს მისი სითბო, შენ დაიღუპები ისე, როგორც დაიღუპა ნიკოლოზი (მისი შვილია), როგორც იღუპება ყველა, ვისაც კი ბედმა არგუნა მისი სული, უსაზღვროდ ბედნიერი სული მოახმარონ საუკუნო ცეცხლის დაუშრეტელობას. მაგრამ, იცოდე, შენს დაღუპვაში შენ ჰპოებ უკვდავებას. აბა, ვარსკვლავებო!.. (ხელს ვარსკვლავებისაკენ იპყრობს) სალამი, შენ ჩემო შორეულო, ჩემო უცნობო მეგობარო! **ქალი** (ხელს მიწისაკენ იშვერს): სალამი შენ, ჩემო საყვარელო, ჩემო ტანჯულო ძმაო.“ აქაც თავისებური ბრძოლაა ხორცის სამეუფოსა და გონების სულის სამფლობელოს შორის; ბრძოლა, რომელიც თავდება ერთმანეთ შორის სამშვიდობო ზავით. ორივე მხარე ჩვენის ცხოვრებისა, ორივე მხარე მსოფლიოსი—სული და ხორცი, გონება და სხეული, ცა და ვარსკვლავები და დედა-მიწა ორივე მშვენიერი და მომხიბლველი მხარეა ერთის დიდებულისა, რომელსაც მსოფლიოს, კოსმოსს ვეძახით.

საბბა ხომ თითქმის ანარქიულის აზრების მოქადაგეა. აქ ბრძოლაა უმსგავსო ცბიერობისა და უმაღლესს პირდაპირობის შორის, რევოლიუციონიზმის უმაღლესი ტემპი, თუ გინდათ, დაპირდაპირებულია უმდაბლესს ქვეშძრომლობასთან და სულის სილაჩრესთან, მატყუარა პატრონნი საზოგადოების გულისა და სულისა, სხვა და სხვა ხერხით, ცრუმორწმუნეობის სხვა და სხვა გვარის შეხამებით ბრბოს იპყრობს და ეს ბრბო ბრმა და თვალ ახვეული მის მოქომაგეს, მის გულწრფელ მცველს ისე ეპყრობა, როგორც ავაზაკსა და მატყუარას, ხოლო ფლიდ მოძღვრებას მისის აზრისა და გონებისას ხელზე ატარებს. ანდრეევი უმაღლესს უარმყოფელს, უარმყოფელს თითქმის უნორმალო ტაშს უკრავს და გულწრფელის სიმპატიით მხარს უჭერს ცხოვრების სიყალბისა და სიცრუის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმისთვის სინამდვილე, სიმართლე, ჭეშმარიტება,—აი ცხოვრების კანონი, რომელიც უნდა დაიცვა ყოველისავე ძალით. ხოლო სიფლიდე, ვერაგობა, ორპირობა, რა სფერაშიაც არ უნდა იხატებოდეს იგი, წარმყვნელია ადამიანობისა და კაცობრიობისა.

შემდეგში ანდრეევი დრამატიულ ხელოვნებაშიაც ფეხს მოიკიდებს და შეჰქმნის ერთ საუკეთესო ნაწარმოებს თანამედროვე დრამატიულ ხელოვნებისას, რუსეთში მაინც. ეს არის „ცხოვრება ადამიანისა“, რომლის ბ-ნ ივ. ზურაბიშვილისამ ჩინებულმა თარგმანმა გამოიწვია ეს ჩვენი წერილი.

ეს დრამა ისეთის გვარისაა, როგორიც არის დრამები მეტერლინკისა. ხოლო უფრო შორს თუ გადვიხედავთ, მხოლოდ ძველ საბერძნეთის ლიტერატურაში მოვიპოვებთ მაგალითებს. ეს არის დრამა, რომელშიაც გამოხატულია ბედი, ბერძნული „მოირა“, ბედი, რომლის გარდუვალობა, რომლის ფატალური სიმკაცრე რუსთაველის უკვდავ ლექსშია გამოთქმული: „განგებასა ვერვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქნების“. ეს განგება-ბედი ანდრეევის დრამაში განსახოვნელებულია. ეს არის „ვინმე რუხტანისამოსიანი, სახელად „ის“... იგი უფერულია, ვით გამოუცნობელი ძალა, იგი უსახოა, ვით მიუწდომელი, იგი მკრთალია და ფერ მიხდილი, ვით განგება გამოურკვეველი. ეს ვინმე „რუხ-ტანისამოსიანია, განიერი, უფორმო, რუხი ფარაჯა აქვს მოსხმული. იწყებს ლაპარაკს და მისი ლაპარაკი ერთი ხმით არის, თითქო საფლავიდან ამოდიოდეს, იგი ბედის განგებას გადაგვიშლის თვალის წინ, „იწყებს ლაპარაკს მტკიცე, ცივის, აღელვებასა და ვნებას მოკლებულის ხმით.... „ის“ სასტიკის განურჩევლობით კითხულობს ხვედრთა წიგნს“. და აი რას გვამცნებს ადამიანის ცხოვრების შესახებ, ადამიანის ბედის შესახებ: ადამიანიო, ამბობს იგი, „წყვდიადიდან გამოსული წყვდიადშივე დაბრუნდება და უკვალოდ განქრება დროთა უსაზღვროებაში.... და მე, ვისაც ყველა „იმას“ მიწოდებს, დავშთები ერთგული თანამგზავრი ადამიანისა მის სიცოცხლის მთელ დღეებს, მთელ მის მგზავრობის დროს... სიხარულის საათს, როდესაც მაღლა აღფრთოვანდება მისი თავისუფალი და გამბედავი სული, მჭმუნვარების და სევდის საათს, როდესაც სასიკვდილო ურვა მოიცავს სულსა და გულში სისხლი გაიყინება; გამარჯვებისა და დამარცხების საათს, მიუცილებელთან დიად ბრძოლის დროს—მე მასთან ვიქმნები, მე მასთან ვიქმნები“.

განა მართალი არ ვიყავი, როცა ვამბობდი ბერძნულ ტრაგედიის ფატალიზმი გადმორგო ანდრეევმა ახალ დრამაში. განა ედიპის ცხოვრება, მისი ბოროტმოქმედება წინდა წინვე განსაზღვრული არ იყო ღმერთებისაგან—მარტო ედიპისათვის იყო იგი გამოუცნობელი და აუცილებელი. განა ყველამ არ ვიცით, რომ ადამიანი იბადება ტანჯვითა და ვაებით, „სიკვდილი ჰბადებს სიცოცხლეს“ მაში ილვიძებს სიცოცხლის განმაგრძობელი და ცხოვრების საფუძვლის მიმცემი გრძნობა სიყვარულისა, სქესობრივს ურთიერთობის აუცილებლობაზედ აღგებული; განა არ ვიცით, რომ ადამიანი

*) იხ. „ისარი“ № 268.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

◆ სამსახურიდან დათხოვნილ პოლიცმეისტრის ადგილას დროებით ნიშნავენ ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწეს ტერ-ანტონოვს, ხოლო პოლიცმეისტრად იწვევენ ქუთაისის პოლიცმეისტრად ნამყოფს სვიმონოვს.

◆ 21 დეკემბერს ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება მართავს სადამოს, რომლის შემოსავალი მოხმარდება ღარიბეს მოსწავლეთ. ცოტა მოგვიანოდ იგივე საზოგადოება გამართავს სადამოს მერვე კლასის ღარიბეს მოსწავლეთა დასახმარებლად. განზრახულ სადამოს დიასახლისად იქნება თავ. სვიმონ წერეთლის მეუღლე.

◆ 27 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, კვლავ გავარდა რევოლვერი, რომლის ტყვიამ იმსხვერპლა ქალაქის დარაჯი. ხალხი უკიდურესად შეშინდა და ერთ წამში მიიმალ-მოიმალა. ამავე დღეს ფოსტის მახლობლად მოხდა ექსპროპრიაცია. ექსპროპრიატორი წადებული ფულით შეიპყრო პოლიციამ. ეს პირველი მაგალითია მგონი პოლიციის თავდარიგიანობისა. საზოგადოდ, ექსპროპრიაციებმა იმდენად იმატეს, რომ იგი თითქო ჩვეულობრივ მოვლენად გახდა.

◆ ქალაქის საბჭოს კრებაზე კვლავ მეფურნეები და პურის ნიხრი. ორ კვირაზე მეტია მეფურნეები იქადნებიან, პურის ნიხრი გაადიდეთ, თორემ პურის ცხობას შევაჩერებთო; საჩივარს საჩივარზე ჰგზავნიან ქალაქის გამგეობაზე და მაინც ჯერ-ჯერობით აცხობენ პურს. ჩანს, არც ისე საზარალოა ეხლანდელ პირობებში პურის ცხობა, რომ მეფურნეებმა ვაჭრობა შეაჩერონ. პირველ განსახილველ საკითხად ქალაქის თავმა დასვა პურის ნიხრის მომატება. გამგეობის წევრის კ. ბაქრაძის მოხსენებიდან აღმოჩნდა, რომ მესამე ხარისხის პური ფოთსა და ბათუმში $1\frac{1}{2}$ და 2 კაპეიკად ნაკლებად იყიდება ოყა, ვიდრე ქუთაისში; ამას გარდა მანვე წარმოადგინა ანგარიში, რომლიდანაც აღმოჩნდა, რომ მეფურნეებს შეუძლიანთ მესამე ხარისხის პური გაჰყიდონ არსებულ ნიხრით, თუ დღეში დაკმაყოფილდებიან 3-4 მანეთის მოგებას; ამასთან ისიც აღნიშნა ბაქრაძემ, რომ მეფურნეთა რიცხვი 60-ს აღემატება. არიან ისეთნი, რომელნიც დღეში 10 ფუთ ფქვილს აცხობენ და, რასაკვირველია, ასეთი მცირე აღებ-მიცემობის მეფურნეები იაფად ვერ გაჰყიდიან პურსაო. მეფურნეთა წარმომადგენელმაც ილაპარაკა. მისმა სიტყვებმა უფრო დაადასტურა ბაქრაძის სიტყვები, რომ წვრილი მეფურნეები მცირე მოგებას არა სჯერდებიან და დიდი მოგება ნიხრ-ს მომატებას ითხოვს. ქალაქის საბჭომ არ შეიწყნარა პურის მცხობელთა შუამდგომლობა პურის ნიხრის მომატების შესახებ. თუმცა მეფურნეები, როცა გაიგეს საბჭოს გადაწყვეტილება, თავის ქნევითა და მუქარით წავიდნენ, მაგრამ ეჭვი არ არის, უპუროდ-თ ქუთათურები არ დაიხოცებიან.

◆ ამ ნაირივე ბედი ეწია ყასბებს: ქალაქის საბჭომ ნიხრი არ გაადიდა. მეორე საკითხი, რომელმაც ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, ეხებოდა ბ-ნ პეტრიაშვილს, რომელიც ითხოვდა კვლავ დამტოვეთ ქალაქის სასწავლებლის გამგედ და გარდა პენსიისა (1000 მანეთი) დაკანონებული ჯამაგირი მომეცითო. საბჭომ საჭიროთ სცნო, საქმე სასკოლო კომისიას გადაეცეს. წვრილმან საქმების განხილვის შემდეგ, ქალაქის თავმა განსახილველად დასვა მოხსენება კომისიისა სადორიის ტყის შესახებ. კვლავ გაიმართა დაუსრულებელი ბაასი იმის შესახებ, საკითხი რთულია, მის განსახილვას მეტი რიცხვი ხმოსნებისა უნდა, სპეციალისტები უნდა მოვიწვიოთო და სხვ. ბოლოს, როცა ბაასი გამწვავდა და ხმ. ნაზაროვმა ხმ. მოსეშვილის მოქმედებას კლოუნობა უწოდა, საბჭომ საჭიროდ სცნო ამ საგნის განსახილველად განსაკუთრებულ სხდომის დანიშვნა სპეციალისტთა თანადასწრებით.

◆ თავად-აზნაურთა კრებას მეტად ცოტა ხალხი დაესწრო. თავმჯდომარემ თავ. სვიმონ წერეთელმა აუწყა კრებას შეიხულ ისლამის, ეპისკოპოსების ალექსანდრესი და გრიგოლის და სომეხთა კათალიკოზის გარდაცვალება. დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცეს მათ ხსოვნას, გარდა ამისა თანაგრძნობისა და სამძიმრის გამოსაცხადებლად ეპისკოპოს ლეონიდესათვის აირჩიეს დეპუტაცია ს. წერეთლის, დ. ნიჟარაძის და ჯაბა გურიელის მონაწილეობით. შემდეგ კრება შეუდგა კომისიის მიერ შემუშავებულ სასტიპენდიო დებულების განხილვას; ახლად შემდგარი დებულება უმთავრესად იმით განირჩევა ძველისაგან, რომ სტიპენდიების რიცხვი გამრავლებულია და სტიპენდია ეძლევათ საზღვარ-გარეთ მოსწავლეთაც. მცირე კამათის შემდეგ დებულება უცვლელად დამტკიცდა და მდივანმა წაიკითხა ქართულის გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტისა და აღმაშენებელი კომისიის შუამდგომლობა, რომ სტიპენდიების გაცემა შეჩერდეს გიმნაზიის შენობის აგებამდე. შუამდგომლობის წაკითხვის შემდეგ თ-დ დავ. ნიჟარაძემ განაცხადა: ვიდრე სტიპენდიები განაწილდებოდნენ, მე წინააღმდეგი ვიყავ ამისი და იმ აზრს ვადექი, რომ ჯერ დებულება უნდა დამტკიცებულიყო და მერე გაგვენაწილებინა სტიპენდიები. ეხლა მე მწამებენ, ვითომ სტიპენდიების წინააღმდეგი ვიყო. მართალია, მე გიმნაზიის შენობის აგებას უპირატესობას ვაძლევ სტიპენდიებთან, მაგრამ არ შემიძლია არ მივიღო მხედველობაში ის ახალგაზდანი, რომელნიც, კომისიის აჩქარების გამო, შეცდომაში შევიყვანეთ და დავაიმედეთ. ჩვენ უფლება არა გვაქვს სტიპენდიებზე უარი ვუთხრათ და ამიტომ ის აზრი შემომაქვს, რომ ვისაც სტიპენდიები დავუნიშნეთ, ნუ მოვუსპობთ, ახალს ნულარ დავნიშნავთ, ხოლო გადარჩენილი ფული შენობის აგებას მოვახმაროთ.

თავმჯდომარემ სთქვა: ამ ჟამად ჩვენ ხელთ არის შენობის ასაგებათ 65 ათას მანეთამდე; შენობის დასამთავრებლად საჭიროა 170 ათასი მანეთი. დაიმედებულ სტიპენდიანტებს ვერ ვუღალატებთ და ერთი წლით მაინც უნდა ვაძლიოთ დაპირებული ფული და ამასთანავე ეხლავე უნდა ვაცნობოთ, რომ ერთის წლის შემდეგ სტიპენდიებს მოვსპობთ.

კირილე ლორთქიფანიძე: სტიპენდიებს ნუ მოვსპობთ და გიმნაზიის შენობას სესხით იქნება თუ სწავლის ფულის მომატებით ავაშენებთ.

სპ. ჯორჯიკიამ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ შენობას სხვა საჭიროებასთან უპირატესობა უნდა მიეცეს, ვინაიდან იქ 1200 ღარიბ აზნაურის შვილი სწავლობს. 1200 ახალგაზრდის ინტერესს ვერ ვანაცვლებთ 100 სტიპენდიანტის ინტერესს და ამიტომ ფული შენობის აგებას უნდა მოხმარდესო.

სტიპენდიის მომხრეებმა ისიც კი აღნიშნეს, რომ უფლება არა აქვს კრებას გადაწყვეტილი საკითხი ხელ-მეორედ განიხილოსო, მაგრამ ვერა გააწყეს-რა და საქმე „კენჭზე“ მიდგა. 16 ხმით 7-ის წინააღმდეგ კრებამ მიიღო თავად დავით ნიჟარაძის წინადადება, რომ არსებული სტიპენდიები ეძლიოთ სტიპენდიანტებს, ხოლო განთავისუფლებულ ადგილებზე ახალს ნულარ დავნიშნავთო. სვიმონ წერეთლის წინადადება—სტიპენდიების მოსპობა ერთის წლის შემდეგ—არ იქმნა მიღებული.

დასასრულ თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ ნამესტნიკმა შესაძლებლად ვერა სცნო, მხარი დაუჭიროს ქართველ თავად-აზნაურთა შუამდგომლობას იმის შესახებ, სახელმწიფო საბჭოში ერთი ქართველი აერჩიათ. ამის გამო სიტყვა ითხოვა დავით წულუკიძემ, რომელმაც პროტესტი განაცხადა, რომ რუსეთის თავად აზნაურობამ ადგილი არ მისცა ქართველთა წარმომადგენელს სახელმწიფო საბჭოში.—რუსეთის თავად-აზნაურობის საქციელი, სთქვა წულუკიძემ, უკადრისიაო... თავმჯდომარემ შეაწყვეტინა სიტყვა და განაცხადა, მაგ საგანზე ლაპარაკი მაშინ შეგვიძლიან, როცა ჩვენს წარმომადგენლებს მოვუსმენთო. კრება დაიხურა.

## პრესსა

—:—

ჩვენ გვინდოდა კიდევ არსებითად გაგვეცა პასუხი „წყარო“-სთვის, მაგრამ, რადგანაც იგი გვპირდება, ეროვნულ საკითხს ცალკე წერილით გავარჩევთო, ჩვენ ჯერ-ჯერობით ვსწყვეტავთ კამათს ამის შესახებ და დაპირებულ წერილებს ვუცდით. ხოლო, რადგანაც „წყარო“ ისევ იმავე აზრს იმეორებს, რომ ჩვენ დღევანდელ სახელმწიფოს ცენტრალიზაციას არ ვიცავთო, ჩვენს თავს ნებას მივცემთ და „წყარო“-ს შევეკითხებით. 1) რასა ნიშნავს იურიდიული და პოლიტიკური ნორმები; 2) რა ჰქვიან იმ დაწესებულებას, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს ერის პოლიტიკური განვითარება; 3) ერთი და იგივეა სოლქო თვითმართველობა და ეროვნული თვითმართველობა, თუ არა და 4) საოლქო თვითმართველობა იგულისხმებს პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას, თუ არა.

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**სოფ. კაკაბეთი** (სიღნაღის მაზრა) ერთი უსაშინელესი უბედურობა ადამიანისათვის სიმთვრალეა. ყველგან არის გავრცელებული ეს სენი და არც ჩვენებურები ჩამორჩნენ. ისე ქორწილი ან დროს ტარება არ იქნება, რომ რამე უბედურება ან უსიამოვნება არ მოხდეს. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

რაც დრო გადის, რეაქცია უფრო და უფრო მუსრს ავლებს ჩვენებურ გლეხ კაცობას. არ გაივლის ისე დღე რომ რაიმე ხრიკი არ მოუგონოს ადმინისტრაციამ გაძვალტყავებულ, მშიერ გლეხს. რეაქციის ძლიერებამ ფრთები შეასხა აქაურ საზოგადოების ნაძირალებსაც, რომელთაც იწყეს თავიანთი საქმენი საგმირონი. იშვიათია ისეთი კვირა, რომ ვინმე არ დააბეზღონ.

აქ ერთ მოსახლე შეღუქნეს, მისა მეზოლიშვილს რამდენიმე წერილი მოუვიდა; სთხოვდნენ 120 მან. და თანაც უნიშნავდნენ ადგილს, სადაც უნდა მიეტანა. მისმა ეშმაკობას მიმართა, მან სთხოვა რამდენსამე ბიჭს, რომ იგი გაენთავისუფლებინათ ამ განსაცდელისაგან. ნიკო მეზელიშვილის თაოსნობით (ნამამასახლისარია) წასულიყვნენ ახალგაზდა კაცები და ჩასაფრებულიყვნენ თოფებით ხელში. დანიშნულ ადგილას მისულიყო ს. ჩიდურის მცხოვრები დეკანა კახიშვილი და მოენახა ფული. ჩასაფრებულნი გამოცვივნულიყვნენ და დაეჭირათ იგი. მას აღმოაჩნდა ჯიბეში რამდენიმე უსახელო წერილი სხვა და სხვა პირზედ. ხალხის უზომო გაჯავრებამ თან მოიტანა აუარებელი ძარცვა გლეჯა: იპარავენ ცხენს, ძროხას, სახედარს, ქათამს და სხვას.

ამ თვის შუიდან გვეწვია მომრიგებელი შუამავალი ვაჩნაძე და შეუდგა კომლების აღწერას. 18 ამ თვეს, როგორც „ისარ“-ში უკვე იყო მოხსენებული, საზოგადოებამ დაადგინა, სთხოვოს გენერალ-გუბერნატორს, გადმოს დუქანი დეკან პაპალაშვილს, რომელსაც ადმინისტრატიულ წესით დაუკეტეს დუქანი.

**ლელიან შვილის-შვილი.**

## სასამართლო

**დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცება.**

(დასასრული *)

1907 წლის 13 აგვისტოს გედევანიშვილმა განაცხადა; როცა 10 მაისს ციმაკურიძემ 114 ათასი მანეთის ანგარიში მომთხოვა, მე დავემუქრე, პოლიციას შევატყობინებ ასეთ მანტაუს მეთქი. ციმაკურიძეც დამეთანხმა, რომ მისი და აზატოვის საქციელი სათაკილოა და პიროვა მომცა, ბარათს ცაგარელს მივუტან, რომ ის პოლიცმეისტერს მარტინოვს მოელაპარაკოს იმათ (ფულის ძალად წამრთმევთა) თაობაზედაო.

ცაგარელმა აჩვენა: აღდგომამდე ერთის კვირის წინად სამსახურისა გამო წაველი ქუთაისის გუბერნიაში, ვიყავი ბათუმში, ფოთში და ჩამოვედი ტფილისში 1908 წლის 14 აპრილს. მაშინ პირველად შევიტყვე დუშეთის ხაზინის გაძარცვის ამბავი. დამნაშავედ საზოგადო ხმა სთვლიდა ძმებს კერესელიძეებს და მათ ამხანაგებს ამბობდნენ, კერესელიძემ ფული წაიღო და გაიპარაო. ერთ ძმას კერესელიძეს ვიცნობდი, როგორც ფედერალისტთა პარტიის წევრს, თუმცა ისიც კარგად ვიცოდი, რომ პარტია არსებობდა ცარიელ სიტყვაზე («пустой звукъ»). მიუხედავად ამისა, პარტიის სახელით დაიწყეს ბოროტ-მოქმედება, ძარცვა-გლეჯა და ეს პირები, არ ვიცი რისთვის, თავიანთ თავს «მებრძოლ» რაზმს უწოდებდნენ, მათ შორის იყვნენ ძმები კერესელიძეები, ციმაკურიძეები და სხვანი. მათს ასალაგმავად «ფედერალისტებმა». თათბირი გამართეს, თათბირს მეც დავესწარი, მებრძოლებს სთხოვდნენ, თავი დაენებებინათ «ხულიგანურ» მოქმედებისათვის, მაგრამ ისინი ხმრობდნენ და პარტიას არ უჯერებდნენ. ზოგიერთები მოდიოდნენ ჩემთან და კაპიტან გედევანიშვილს კითხულობდნენ. ერთხელ მოვიდა აზატოვი და მითხრა, კერესელიძემ მოგვატყუა და გაიპარა. გვინდა «დუშეთის საქმის თაობაზე გედევანიშვილს მოველაპარაკოთო». მე ვურჩიე თვითონ მოლაპარაკებოდა გედევანიშვილს მე კი არავითარი დეპეშა არ გამიგზავნია, ვუთხარი-კი, თუ შემხვდა გედევანიშვილი, ვეტყვი და საგანგებოდ კი არ წავალ, რადგან წასვლაზე ხარჯი მომივა მეთქი. როცა ამის შემდეგ გედევანიშვილს შევხვდი, ვუთხარი, რომ დუშეთის საქმეში პარტიას ურევენ, მეტად სათაკილო საქმე მზადდება და საჭიროა მოლაპარაკება მეთქი. გედევანიშვილიც აღშფოთებული იყო და მითხრა; „წავალ, შევიტყობ“.

აზატოვმა განაცხადა: ფული, 50 მან., რომელიც ჩხრეკის დროს მიპოვნეს, გოგია კერესელიძემ მომცა; ჩემი ემართა. გოგია მანამდე სულ ხელ-მოკლედ იყო. ხაზინის გაძარცვას შემდეგ ლეო [illegible] და გოგიას ხელ უხლებელი ქაღალდის ფული საიდანღაც გაუჩნდა. ეჭვით დააპატიმრეს ნიკ. ალავიძე, ჩემი ცოლის ძმა, მაგრამ მონასტირსკიმ [illegible] გაანთავისუფლა. ამის შემდეგ მონასტირსკიმ წინადადება [illegible] გაძარცვა დუშეთის ხაზინის და მეც აღვუთქვიო.

ციმაკურიძემ განაცხადა: მცხეთაში წაველი არა გედევანიშვილის სანახავად, არამედ ისე. იქ შემთხვევით ვნახე ოფიცერი, რომელიც აღმოჩნდა გედევანიშვილი. იმან მთხოვა, ბარათი მიმეტანა პორუჩიკ ცაგარელისთვის. შინაარსი წერილისა არ ვიციო. წერილი გზაზე დავკარგე.

კიკნაძემ განაცხადა: ფული, რომელიც ჩხრეკის დროს მინახეს, ბანკოში მოვიგე. გოგია კერესელიძე გავიცანი დაპატიმრების რამდენისამე დღის წინად, 500 მანეთი იმისაგან არ მიმიღია. მცხეთაში წავედი ისე. რაც ბოიარინოვს ვუთხარი, ყველაფერი მონასტირსკის და აზატოვის შთაგონებით ჩავიდინეო.

ჩიქოვანმა განაცხადა: ძმ. კერესელიძეთ სრულებით არ ვიცნობ და არც გამიგონია მათ მიერ დუშეთის ხაზინის გაცარცვის ამბავი. „პარიზის“ სასტუმროში თათბირი არ მახსოვს. მცხეთაში საქეიფოდ წაველი. ფული, რომელიც ჩხრეკის დროს მიპოვნეს, ჩემი საკუთარია. ბოიარინოვის ოქმში რაც სწერია, სულ ტყუილი, არაფერი საამისო მე იმისთვის არ მითქვამსო.

ივ. თაქთაქიშვილმა განაცხადა: ს. რველში გიორგი თაქთაშვილთან ხშირად ვყოფილვარ, ძმ. კერესელიძეები გიორგი თაქთაქიშვილის ცოლის ძმის წულები არიან. ფული, რომელიც ჩხრეკის დროს მიპოვნეს, ჩემია, მამამ სახარჯოდ მომცა და ტფილისში დავახურდავე. ს. რველში კიბის ქვეშ რანაირად აღმოჩნდა ფული, არ ვიციო.

გიორგი თაქთაქიშვილმა განაცხადა: მარტო სასწაულით შემიძლიან ავხსნა ჩემის სახლის კიბის ქვეშ ფულის გაჩენაო.

კონსტ. ციციშვილმა განაცხადა: 1906 წლის აპრილში ჩემთან ქარელში მოვიდა რევაზ ციციშვილი და მითხრა, ერთს ახალგაზდას საზღვარ გარეთის პასპორტი სჭირია და შენ, როგორც საიმედო პირს, ასეთის პასპორტის შეძენა არ გაგიჭირდებაო. წამო ქალაქში და გამოვიტანეთ. მეც წავყევი. რევაზმა არზა დასწერა, საჭირო ფულიც შევიტანეთ, პასპორტი რევაზმა გამოიტანა და მითხრა, რომ პასპორტი სჭირდება გიორგი კერესელიძესაო. მომცა საჩუქრად 250 მანეთი, რომელიც ქარელშივე აღმითქვაო.

რევაზ ციციშვილმა განაცხადა: არ ვიცნობ არც კერესელიძეებს, არც მაღალაშვილს. გიორგი კერესელიძესთვის პასპორტი არ გამომიტანია. კონსტანტინე ციციშვილის პირადის თხოვნით კი გამოვიტანე გუბერნატორის კანცელარიიდან პასპორტი და მოწმეთა თანადასწრებით ჩავაბარე კონსტანტინე ციციშვილს, რომელიც მეუბნებოდა, გლეხების არეულობის მეშინიან და საზღვარ გარედ მივდივარო.

ქართველიშვილმა განაცხადა: ლეო კერესელიძესა და მაღალაშვილთან ერთად ვსწავლობდი და მათ ვმეგობრობდი; ორივე 1904 წელს წავიდა ჟენევაში სწავლის მისაღებად, ერთი წლის შემდეგ ისევ ტფ. დაბრუნდნენ- ხშირად ვიყავ მათთან. გავიცანი იქ გოგია კერესელიძეც, რომელსაც თამარ ციციშვილის ქალი ჰყავდა ცოლად. სურათი ერთად გადავიღეთ 1906 წელს. შემდეგ მაისის დამდეგს ლეო წავიდა საზღვარ გარედ. რამდენისამე ხნის შემდეგ წავიდა გოგიაც. მაღალაშვილი წავიდა 1906 წ. ივნისშიო.

პასუხის გებაში მიცემულნი ლეო და გიორგი კერესელიძეები და ნესტორ მაღალაშვილი სცხოვრობენ შვეიცარიაში. რუსის მთავრობამ მოითხოვა მათი გაცემა, მაგრამ შვეიცარიის ფედერატიულმა სასამართლომ უარი შემოუთვალა, ბრალდებულთ დანაშაული ჩაუდენიათ პოლიტიკურის მიზნითაო.

ამის გამო პასუხის გებაში მისცეს კაპიტანი ი. გედევანიშვილი და პორუჩიკი ვლ. ცაგარელი, სპარსეთის ქვეშევრდომი იუხან-ბეკ აზატოვი, კონ. ციმაკურიძე, გიორ. კიკნაძე, არტემ ჩიქოვანი, ივ. და გიორგი თაქთაქიშვილები, კონსტ. და რევაზ ციციშვილები და ვახტ. ქართველიშვილი. პირველ ორს ჰბრალდება ხაზინიდან ფულის გატაცების მოფიქრება და ამისთვის კერესელიძეებსა და მაღალაშვილთან შეთანხმება. კერესელიძეებმა, მაღალაშვილმა და სხ. იარაღით ხელში გასძარცვა ხაზინისა და მოტაცება 315000 მანეთისა. აზატოვს, ციმაკურიძეს, კიკნაძეს, ჩიქოვანს და თაქთაქიშვილებს თუმცა პირადი მონაწილეობა არ მიუღიათ გაძარცვაში, მაგრამ შემდეგ გატაცებულის ფულით ისარგებლეს. ციციშვილებს და ქართველიშვილს ჰბრალდებათ კერესელიძეების და მაღალაშვილის დამალვაში ხელის შეწყობა.

მოწმეებად დაბარებულია: ეგნ. ბრაინინი, ანტ. პეტკიუნასი, დომ. ჭონქაძე, გრ. მაზიტოვი, ვლ. კორინთელი, მაქ. სრიბნი, ივ. ბულან, ვლ ბივოვაროვი, მაქ. კოტლიარ, ეგორ. იარკოვოი, ივ. პოპოვი, კონს.

*) იხ. „ისარი“ № 263.

---

მხიარულობს და სტირის, ცეკვობს და თავში ხელს იცემს; განა არ ვიცით, რომ მას მისი ცხოვრების ერთ ხანაში ეწვევა ესა თუ ის უბედურება და მერე სიცოცხლესთანაც კავშირსა სპობს. ეს არის ფორმულა მშრალი და მათემატიკური ადამიანის ცხოვრებისა, რომელიც წინდაწინვე ვიცით, მაგრამ არ ვიცით, როგორ, რა სახით, რა ფორმით გაივლის ყოველი ჩვენგანი ცხოვრების ამ საფეხურებო, არ ვიცით, როგორი იქმნება ჩვენი, ყველასი კერძოდ „დაბადება“, ჩვენი სიყვარული და სიდარიბე, ჩვენი ცხოვრების „მეჯლისი“, ჩვენი „უბედურება“ და ჩვენი „სიკვდილი“. ანდრეევმა საოცრად ძნელი საქმე იკისრა. ხელოვნების განსაკუთრებულ ხასიათსა და თვისებას გვერდი აუხვია და მოისურვა ადამიანის ცხოვრების უფრო განყენებულის სქემის დრამატიულად გამოხატვა. მთელი არაკი დრამისა მარტივია, სრულიად სადა და თავისის სიმარტივითა და სისადავით ერთი ორად ხელს უწყობს ავტორის სურვილს—„ადამიანის ცხოვრების“ განყენებულის ფორმულის შექმნას. ყოველი კაცი იბადება, თვით ჰქმნის პირობებს, ანა და იძულებულია შეჰქმნას პირობები, რომელიც გვარის განგრძობისთვის აუცილებელია; იგი ხან ქეიფობს, ხან მოსთქვამს. ერთ ხანს კი მოთქმა იქმნება გედის უკანასკნელი სიმღერა სიკვდილის წინ. სიკვდილი მისთვის აუცილებელია, ყოვლის მომწამვლელი და მომშხამველი. თვით საუკეთესო წამი, ცხოვრების შემოქმედების ხანა, ხანა, როცა ადამიანი, სიცოცხლით ალსავსე, სცდილობს ზედმეტი თავისი ჯანი და ღონე დაუბრუნოს ბუნებასა და კაცობრიობას, საუკეთესო მომენტი სიყვარულისა მოწამლულია, ძიმწარე გარეული ამ უსაშინელესის მომენტის მოლოდინში.

ეს უცნაური სურათი „ადამიანის ცხოვრებისა“ დიადის ტრაგიზმით აღსავსე გულის მომწყვლელია და სიცოცხლის შემავიწროებელი. ანდრეევმა პესსიმისტიური და ცხოვრების უარმყოფი შეხედულება ამ დრამაში უმაღლესს წერტილამდის მიიყვანა; ადამიანის ბეჩაობა „მიუცილებლობა'სთან“ ბრძოლაში წარჩინებულის ხერხით დაგვიხატა. თავზარდამცემი სურათია ის, როცა ადამიანს ცხოვრების ყოველივე საფეხური გაუვლია, თავზედ მეხი დასცემია და სხვას ვეღარას ახერხებს, თუ არ უნიადაგო, თუმც ძლევა მოსილ, წყევლა-კრულვას: „შენ კი არ ვიცი ვინა ხარ, ღმერთი, სატანა, ბედისწერა თუ სიცოცხლე—მე გწყევლი შენ... მე ვსწყევლი ყველაფერს, შენგან მოცემულს, ვსწყევლი ჩემ დაბადების დღეს, ვსწყევლი მთელს ჩვენს სიცოცხლეს, სიხარულს და ვაებას. ვწყევლი ჩემს თვალებს, ჩემს სმენას და ჩემს ენას, ვსწყევლი ჩემს გულს, ჩემს თავ'— და ყველაფერს გიბრუნებ, უგუნურო ბედო! წყეულ იყავ, წყეულ იყავ ამიერიდან და უკუნისამდე!“ „გულგრილად უსმენს „ვინმე“ რუხ-ტანისამოსიანი ადამიანის წყევლას, და სანთლის ალი ირხევა... **ადამიანი** დგება, იმართება წელში, უკან გადიქნევს ჭაღარა, ლამაზს მუქარით აღსავსე მშვენიერ თავს და მოულოდნელის მაღალის, მაღალის ხმით ჰყვირის; წუხილითა და წყრომით აღსავსე ხმაში მოწოდება ისმის. წყე... დავარდება სკამზე და თავ უკან გადავარდნილი კვდება, იმავ წამს სანთელიც ერთს გაილაპლაპებს და ჰქრება და წყვდიადი მოიცავს ყველაფერს. **ვინმე რუხ-ტანისამოსიანი:** ჩუმად, ადამიანი მოკვდა... სიჩუმე, მყუდროება და იგივე ცივი, გულგრილი ხმა იმეორებს შორიდან, გამოძახილსავით: ჩუმად! ადამიანი მოკვდა“.

**კიტა აბაშიძე.**

(დასასრული იქნება)

მონასტირსკი, პეტ. მარტინოვი, ანდ. ბოიარინი, ვიქ. ყიფიანი, ანტ. გოგიშვილი, ივ. ავალიშვილი, თეოფ. როყანოვი, გაბ. სულხანიშვილი, გიორ. განდელაკი, ივ. სლიუხარენკო, ვას. მაიოროვი, ალ. გიკაევი, გრ. ვიაზელენკო, კონს. ამირაჯიბი და მიხ. იმხნელი.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 25 ნოემბერს „ქართულ დრამის“ არტისტებმა ნ. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოადგინეს იუშკევიჩის დრამა „ქალაქში“. იუშკევიჩის დრამაში ყველა როლი ძნელი ასასრულებელია, მაგრამ დინას როლი, რომელიც ქალის ბოროტების განხორციელებას წარმოადგენს, ისეთის თვისებისაა, რომ თუ არ დიდის ნიჭით დაჯილდოვებული არტისტი ძნელად დასძლევს. ტფილისში ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა და აქ „ქართულ დრამის“ სულის ჩამდგმელებმა ამ როლისათვის მართლაც შეუფერებელ eploié'ს არტისტები აირჩიეს (ტფილისში—ბ-ნი გაბუნია—ცაგარლისა და აქ—ქ-ნი ივანიძისა) და ამიტომ დინას როლი აუტანელ ტვირთად გახდა ორივესათვის. ქ-ნი ივანიძე გამოცდილი და მშრომელი არტისტია; თუ კაცი უსაყვედურებს მას რასმეს—ეს ის არის, რომ იგი არ ამრავალფერებს როლებს და თუ ერთ წარმოდგენაში ნახეთ სადმე, მეორეში გეგონებათ წინად ნახულ პიესის როლს ასრულებსო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გვიჯერებთ, იგი სასარგებლოა ძალიან ქართულ თეატრისათვის. დინას როლი ქ-ნ ივანიძისათვის „აუტანელი ტვირთი“ აღმოჩნდა. იმის ნაცვლად, რომ მას ბოროტებით გამსჭვალული, მძლავრის ხასიათის ადამიანი ეჩვენებიან, ხუთი საათის განმავლობაში დიდის სიკაპასისა და ყვირილის უნარი გვიჩვენა. გარდა ამისა ამ როლისათვის ქ-ნ ივანიძეს შეეთვისებინა არა ჩვეულებრივი კილო ლაპარაკისა, რაც ძველ კლასიკურ დროის არტისტების დეკლამაციას წააგავდა; ამან უფრო გააქარწყლა ილიუზია. რაკი დინას როლი, რომელიც ღერძია მთელის პიესისა, ჭრიალებდა, მთელმა პიესამაც ჭრიალით ჩაიარა და ეს მით უფრო სამძიმო იყო ბლომად შეკრებილ საზოგადოებისათვის, რომ წარმოდგენამ ღამის $1^{1}/_{2}$ საათამდის გასტანა.

საზოგადოდ ამ პიესის დადგმის გამო არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ იუშკევიჩის დრამის მაგვარი პიესები სამძიმოა ჩვენის დასის ძალთათვის და ისა სჯობია საქმის გამგენი ერიდნონ ასეთ კისერ-სატეხ პიესებს.

უსამართლობა იქნება, მიუხედავად ზემოხსენებულისა, არ აღვნიშნოთ კარგი მხარე პიესის აღსრულებისა. ქ-ნმა ნ. ჩხეიძემ ჩვეულებრივის დაკვირვებით და შეგნებით დაგვიხატა სონას ტიპი და თუ მოსალოდნელი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მაყურებელზე, ამის მიზეზი, რამდენადაც ჩვენ დავაკვირდით, ქ ნ ივანიძის არა ბუნებრივი და გადაჭარბებული ყვირილი იყო. შეუდარებელი იყო ქ-ნი ჩხეიძისა იმ სცენაში, როდესაც მას შვილს ართმევენ; აქ მას ხელი შეუწყო ქ ნ ჯავახიშვილის შესაფერმა თამაშმა და გრიმმა და საზოგადოებაში ტირილი და აქაიქ ისტერიკაც გამოიწვია.

ნ. დავითაშვილს ევას როლში ერც ერთხელ არ უღალატნია ბუნებრივ თამაშისათვის და მესამე მოქმედებაში, როცა დის სირცხვილი და დედის ბოროტება თვალ წინ ეშლება, მან არა ერთსა და ორს მაყურებელს დაუღბო გული.

შალიკაშვილი გლანკის როლში კარგი იყო იმ დრომდე, ვიდრე არ გაიგო მესამე მოქმედებაში რა სამარცხვინო საშუალებით სარგებლობდა მისი „დინოჩკა“. აქ ბ-მა შალიკაშვილმა ვერ დაგვანახვა ის დრამატიზმი, რომელიც არტისტ მოეთხოვება; ეს იყო მისი დიდი ნაკლი.

ბერის როლი ბ მა მურუსიძემ თავიდან ბოლომდის შეუცდომლად წაიკითხა, თუმცა მაყურებლებისათვის გაუგებარი დარჩა, ვისთვის ან რისთვის კითხულობდა ბ-ნი მურუსიძე.

ბ-ნი ზარდალიშვილს ვერ გაუგია ბოიმის როლი, ისე როგორც ქ-ნი ქიღარჯიშვილისა—ელკასი, და ამიტომ მეტად მიგვაჩნია ამ საგანზე ლაპარაკი, მით უმეტესად ბასსი გაგვიგძელდა. ვიტყვით მხოლოდ რამდენსამე სიტყვას ბ-ნ ბალანჩივაძეზე, რომ მან პაპ.ს უსიტყვო. მაგრამ ძნელი როლი ტიპიურად შეასრულა, ბ-ნი შოთაძე სცენაზე რომ არ შოთაძეობდეს, სცენაც მოიგებდა და მაყურებელიც.

პიესის თარგმანმა ვერ დაგვაკმაყოფილა; თარგმანის ნაკლულევანებას არტისტებიც უმატებდნენ და ხშირად გვესმოდა ასეთი სიტყვები: „კაცონი“, „გვსაჯამ“. „შენ ჯავრდები“ და სხვ.

## რუსეთი

✦ **სოც. დემ. ფრაქციის საქმე.** 55 სოც. დემ. დეპუტატის მაგივრად სამართალში მიიყვანეს მხოლოდ 37; დანარჩენი—18 კაცი მიმალულა. სამართალში მიცემულთა შორის იყვნენ საქართველოს ყველა დეპუტატები. თავს უშველა მხოლოდ ჯაფარიძემ. სასამართლომ არ მოისურვა საქმის გარჩევა ხალხის დასწრებით. ამის გამო ბრალდებულნი თავიანთ ვექილებით სასამართლოს დარბაზიდან გავიდნენ. დარჩა მხოლოდ 6 კაცი, რომელნიც ჩამოშორდნენ სოც. დემ—იულ ფრაქციას. გარდა სოც. დემ.—ისა ამ საქმესთან ერთად ირჩევა მეორე საქმე, შესახებ სამხედრო ორგანიზაციისა, რომელიც მოქმედებდა ფრაქციის მეთაურობით. დამცველებად არიან ანდრონიკაშვილი, სოკოლოვი, მარგულიესი, მურავიოვი, კედრინი, პერგამენტი, ქიაბრიშვილი და სხ.

✦ **გენ. გერშელმანის მოკვლის განზრახვა.** მოსკოვის გაზეთები ასე აწერენ მოსკოვის გენ.-გუბერნატორის გერშელმანის მოკვლის განზრახვას. იმ დროს, როცა გერშელმანს უნდა გაევლო საავადმყოფოსაკენ, სადაც საავადმყოფოს იუბილეის უნდა დასწრებოდა, ერთი ახალგაზდა, შავებში გამოწყობილი ქალი იჯდა კონდრატიევის ფაბრიკის კარების დირეზე. იგი შეუმჩნევიათ საიდუმლო პოლიციის აგენტებს და თვალ-ყურის დევნა დაუწყიათ. ქალი მიხვდარა, რომ ის შემჩნეულ იქმნა, ადგა და გზას გაუდგა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უკანვე დაბრუნდა. სწორედ ამ დროს გამოიარა გერშელმანის ეტლმა. ქალი მარხილს მიუახლოვდა და ყუმბარა შეუგდო ქვეშ ცხენებს. ყუმბარა საშინლად აფეთქებულა. ცხენები იქვე დაიხოცნენ მარხილი ნაფოტად იქცა. გერშელმანი და მისი ადიუტანტი ყუმბარის ძალამ განზე გაისროლა. ორივენი გადარჩნენ. მეეტლე მსუბუქად დაიჭრა. შორიახლო ეგდო ყუმბარის მსროლელი ქალი, რომელიც მძიმედ იყო დაჭრილი. თვალი გამოთხრილი და თავი დაჩიჩქნილი ჰქონდა. იგი საავადმყოფოში წაიყვანეს. მალე გონს მოვიდა და ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ თვისი ვინაობის შესახებ ხმა არ ამოიღო. ჯერ-ჯერობით გამოირკვა, რომ იგი სწორედ იმ დილით ჩამოვიდა მოსკოვში პეტერბურგიდან. ჯიბეში უპოვეს გაზეთის ნაგლეჯი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ამა და ამ დღეს გენ. გერშელმანი დაესწრება ამა და ამ საავადმყოფოს იუბილეს.

✦ **მილოცვა როდიჩევს.** როდიჩევს აუარებელი მილოცვა მიუღია სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვის გამო. სხვათა შორის, მან მიიღო მილოცვა 3000 მუშისგან, რომელნიც სწერდნენ: „მუშაობის გათავების შემდეგ მიტინგი გავმართეთ. დაესწრო 3000-ზე მეტი მუშა, განურჩევლად მიმართულებისა და პარტიისა. დავადგინეთ სალამი გიძღვნათ ხალხის ინტერესთა მედგარ დაცვისთვის და პროტესტი გამოვუცხადოთ თავმჯდომარეს, რომელიც უზრდელად მოგექცათ თქვენ. მან ღვირი ახსნა „ზუბრების“ ბრბოს, რომელიც გარეულ ნადირებივით მოგესივნენ თქვენ გულწრფელ და პატიოსან სიტყვის თქმისთვის.“

### მცირე წინადადება
(წერილი რედაქციისადმი).

გუშინდელ „ისრის“ წერილში: „ლუარსაბ ლოლუას ხსოვნას“ დასახელებულია მხოლოდ უკანასკნელის წლების მისი ნაწერები ქართულს ენაზე. კენტი სიტყვითაც არ არის მოხსენებული, რომ იგი უნივერსიტეტიდან დაბრუნების შემდეგ ხანდახან ჰბეჭდავდა წერილებს გაზეთს „დროებაში“ მისი ნაწერები ყოველთვის პროგრესიული მიმართულებისა იყო, მკვირცხლად და კარგი ენით დაწერილი ამიტომ ყველა იმის ნაწერების ცალკე წიგნად გამოცემა საუკეთესო სახსოვარს აუგებს მას და ნამდვილი შემატება იქნება ჩვენის დარიბი ლიტერატურისათვის.

ვინ უნდა იზრუნოს ამაზე? რასაკვირველია, მისმა მემკვიდრეებმა უპირველესად ყოვლისა. განსვენებულს ლუარსაბს კარგი ქონება დარჩა, რომლის მცირეოდენი ნაწილი სრულად საკმარისია, რომ ჩინებულად გამოიცეს მისი ნაწერები. მემკვიდრეები მოვალენი არიან ან თვითონ პირადად იკისრონ გამოცემა, ან არა და საკმარისი ფული გაუგზავნონ მაგალითად, წერა-კითხვის საზოგადოებას“ წიგნის დასაბეჭდად, თუნდაც იმ პირობით, რომ წმინდა შემოსავლის ნახევარი მათ გაუგზავნოს.

ესევე უნდა ვთქვათ ვერაგულად მოკლულის ნიკო ხიზანაშვილის შესახებ. იგი მთელის ოცის წლის განმავლობაში ჰბეჭდავდა „ივერიაში“ თავისს წერილებსა რომელნიც ნამდვილის ნიჭით და სამაგალითო ენით არიან დაწერილნი და იკვლევენ საჭირბოროტო საზოგადოებრივ საკითხებსა. ცოდვა, დიდი ცოდვა იქმნება, თუ ეს საუცხოო ნაწერები დარჩებიან სიბნელეში და დღის ნათელსა ვერ იხილავენ. ცალკე ტომად გამოცემულნი ეს ნაწერები გაამდიდრებენ ჩვენს ლიტერატურას მეტად თავისებური სალიტერატურო ნაწერებით და ნამდვილის განძას ადგილს დაიჭერენ. ამ საქმის განხორციელებაც უსათუოდ უნდა იკისრონ აგრეთვე მემკვიდრეებმა. ხიზანაშვილმა დაუტოვა თავისს სახლობას მოზრდილი პენსია, დამსახურებული ოც და ათის წლის სამსახურისა, რომელიც მის ცოლს უზრუნველად ჰყოფს. გარდა ამისა მასვე დარჩა ბლომი თანხა, რომლის მცირე ნაწილი საკმარისია, რომ რიგიანად გამოსცენ მისი სალიტერატურო ნააშაკევი და ამითი ღირსეული ძეგლი აუგონ მას.

საზოგადოდ, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ საუკეთესო სახსოვარი ყოველი გასვენებულის ლიტერატორისათვის არის—გამოცემა და მოფენა მისი ნაწერებისა, რომელშიც განხორციელებულია საუკეთესო მხარე მისი არსებობისა. რამდენად აფასებენ ამას თითონ მწერლები, ცხადად სჩანს პუშკინის სიტყვებიდან: «**ჩემი სულის უკვდავებას ჩემი ნაწერების უკვდავება მირჩევნიაო**». ამიტომ დავიწყება ღირსეულის სალიტერატურო ნაშრომისა ნამდვილი სალიტერატურო მკვლელობაა და მიუტევებელს ცოდოს შეადგენს ჯერ მემკვიდრეებისთვის და მერმე საზოგადოებისათვის.

ვიდრე ქართველობა მოკლებულია ქონებით შეძლებულს სალიტერატურო საზოგადოებას, ქართველ ლიტერატორების ნაშრომის დაბეჭდვაზე უნდა იზრუნონ ხოლმე მათმა მემკვიდრეებმა. ამავე დროს ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ შევქმნათ ახლო მომავალში იმისთანა სალიტერატურო საზოგადოება, რომელმაც უნდა უპატრონოს ყოვლის ღირსეულის ლიტერატორის ნაშრომსა და ნაამაგევსა, ბეჭდოს იგი, მოჰფინოს ხალხში და დღითი დღე ამდიდროს ქართული სალიტერატურო სალარო.

**იაკობ გოგებაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ავალიშვილი.**


## განცხადებანი

### აბანო

ქუთაისის მაზრა, სოფ. ნაქვაში, ტყიბულის რკინის გზ ს პლატფორმიდან ოთხი ვერსის მანძილზე, სანაქებო გოგირდის წყლისა, ოთხი აუზით, რვა ოთახით თვისი მოწყობილობით ძლიერ იაფად ხელსაყრელს ფასში, შეიძლება გაყიდვაც. ადრესი: ქუთაისი კაზაკოვის ქუჩა, მასხულიას სახლები, ვერა უგრეხელიძე.
(წ.—5.—1)

### ქალაქ ფოთში

ლაზარევის ქუჩაზე იყიდება 1000 მანეთად ადგილი, მიწა ზომით 260 ოთხკუთხ. საჟ. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება: ტფილისის სადგურზე, „до востребованія И. Т.“
(5—457—2)

**ქუთაისში** 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, როცა ის იყო მაღაზიებს ვკეტავდით, თავს დამესხა ხუთი შეიარაღებული კაცი, გამოღებინეს კასსა, სადაც 1500 მან ფული, 4000 მან. **საბუთის ქაღალდები: კუპონები, „ვოდნი ლისტები“ და სხვა საჭირო დოკუმენტები** მქონდა, ყოველივე წაიღეს. ეს დოკუმენტები კი ჩემს გარდა, არავისათვის საჭიროებას არ შეადგენს და ამისათვის ვსთხოვ წამღებთ და აგრეთვე თუ ვისმეს ჩავარდეს ხელში ისინი, გამომიგზავნოს ფოშტით, ან რაიმე სხვა საშუალებით გადმომცენ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მიიღებენ.
ადრესი:—ქუთაისი, ვაჭარი გიორგი ტყეშელაშვილი.
(2—5—2)

პირველი კერძო საავადმყოფო
### დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა
**დილით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**ე. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ფ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. აველიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გძელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. უზუნბაშიანი:** $1^{1}/_{2}$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**
(ხალ.—170)

ფოთის ქალაქის
### გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 20 მომავალ დეკემბერს გაიცემა საჯარო ვაჭრობით ქალაქის ცხენით მავალი რკინის გზა (კონკა) ოთხის ვაგონით. ვაჭრობა დაიწყება 4,500 მანეთიდან. მოვაჭრემ უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის დღეს ბეთ ხუთასი მანეთი და პირობის შეკვრის დღეს 0%.
(ნ. 3—1)

### ხიმშიაშვილის და დიასამიძის

მამულში საბურთალოსთან, ვერაზე იყიდება მიწები, დაყოფილი ნაჭრებად 24, 40 და 70 კაპ. საჟენი წლის გადახდის ვადით.
სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურის სახლი, **№ 153 მაჭავარიანი, გელოვანი.**
(10—438—3)

✦✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦✦



### კალოშებისა
**და სხვა რეზინის საქონლისათვის**
### უმაღლესი ჯილდო
(GRAHD-PRIX)
პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ
„რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“,
რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება
სავაჭრო სახლში
### ლეოპოლდ ნეიშელლერ
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგასა, ოდესსა, ეკატერინბურგს
### ტფილისში,
დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, კიევს და ტაშკენტში

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.
იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა.
(100—93)